ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე
სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი
ია გაბედავა – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. თ., /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 23.04.2013

საჩივრის რეგისტრაციის №037/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. მ.-ის მიმართ, /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. მ.-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 23 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. თ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. მ..-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2013 წლის თებერვალში ადვოკატმა მ. მ.-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში წარადგინა აპელანტების - ა. და ლ. რ.-ების დამატებითი მოსაზრებები, სადაც ადვოკატი უაპელაციო და უმოტივაციო არგუმენტებით კლიენტებთან თავის მოწონების მიზნით, კოლეგიალობის პრინციპის დარღვევით ლახავს მის პიროვნულ და პროფესიულ პატივსა და ღირსებას. ადვოკატმა მ. მ.-მ მას და მის კლიენტებს ბრალი დასდო ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად,

სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით და წინასწარი შეთანხმებით თაღლითობაში თანამონაწილეობაში.

1.3 საჩივრის ავტორის გასაუბრება საპროცესო კოლეგიასთან შედგა 2013 წლის 29 აპრილს, რომლის თანახმად, ადვოკატ მ. მ.-ის მიერ მისი თაღლითად მოხსენიება ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და მე-10 მუხლებს.

1.4 2014 წლის 25 დეკემბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი ადვოკატი და განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი ფაქტია ის, რომ აღნიშნული განცხადება არ ყოფილა დაწერილი მისი კოლეგა ადვოკატის მიერ და მ. მ.-მ უბრალოდ ხელი მოაწერა მისი კლიენტის მოსაზრებებს. თუმცა მას კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებდა აეხსნა თავისი კლიენტისათვის, რომ არ შეიძლებოდა კოლეგის ასე მოხსენიება.

1.5 საჩივრის ავტორმა ადვოკატმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე კოლეგიის წინაშე იშუამდგომლა საჩივარზე უარის თქმის, მისი უკან გახმობისა და დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. მ.-მ წერილობითი ახსნა-განმარტებით მომართა ეთიკის კომისიას, რომლის თანახმად საჩივრის ავტორი და თვითონ წლების მანძილზე მონაწილეობდნენ არაერთ სამოქალაქო თუ ადმინისტრაციულ საქმეებზე ერთსა და იგივე მხარეებს შორის (ბმა „მ. X“ და ა. და ლ. რ.). საჩივრის ავტორი და მისი მარწმუნებლები ყველა ხერხს მიმართავდნენ, რათა ზიანი მიეყენებინათ მისი მარწმუნებლებისათვის და ამისათვის სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასაც არ ერიდებოდნენ, რაზეც აღძრულია არაერთი სისხლის სამართლის საქმე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორისა და მისი მარწმუნებლების ქმედებებმა გამოიწვია ეჭვი ახალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შესახებ და აღიძრა ახალი სისხლის სამართლის საქმე - ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივარზე დართული დამატებითი მოსაზრებები მიზნად არ ისახავდა საჩივრის ავტორის პატივისა და ღირსების შელახვას და შეურაცხყოფას, არამედ ის იყო გარკვეული კონსტატაცია იმ ვარაუდისა, რაზედაც დღესდღეობით მიმდინარეობს სისხლის სამართლის წარმოება.

2.4 ადვოკატის განცხადებით, იგი მოქმედებდა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპის შესაბამისად და საჩივრის ავტორის საჩივარი მოკლებულია საფუძველს.

2.5 ადვოკატ მ. მ.-თან საპროცესო კოლეგიის გასაუბრება შედგა 2013 წლის 28 ივნისს, რომლის თანახმად მან სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში გამოთქვა თავისი კლიენტის ვარაუდი. აღნიშნული მოქმდება შეთანხმებული იყო კლიენტთან და შესაბამის ორგანოში მოცემულ საკითხზე მიმდინარეობს ს/ს გამოძიება.

2.6 ადვოკატის განმარტებით, მან გამოთქვა ვარაუდი, რომელიც შეიქმნა განსჯის შედეგად. ამ განცხადებაში არ ჰქონდა მხედველობაში დასრულებული დანაშაულის ჩადენა და მას არ დაურღვევია უდანაშაულობის პრეზუმფცია.

2.7 ადვოკატის განმარტებით, იგი არ მონაწილეობს სისხლის სამართლის საქმეში, რადგან არ აქვს შესაბამისი სპეციალიზაცია.

2.8 ადვოკატის განმარტებით, იგი საჩივრის ავტორს იცნობს წლების მანძილზე და მისი განცხადება მიზნად არ ისახავდა მისი პატივისა და ღირსების შელახვას, მან უბრალოდ გამოხატა მარწმუნებლის აზრი და ვარაუდი.

2.9 2014 წლის 25 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი მ. მ. და დამატებით განაცხადა, რომ არ შეეცდებოდა თავის გამართლებას, ვინაიდან ხელის მოწერის მომენტისათვის ის განცხადების შინაარსს გაცნობილი არ იყო. შესაბამისად მან დაუშვა შეცდომა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 02 დეკემბერს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 მეოთხე საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ მ. მ.-ის მიერ დამატებითი მოსაზრებების ტექსტში ადვოკატი ნ. თ. მოხსენიებულია ისეთ კონტექსტში, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პირად, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი და ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფატობრივი გარემოებები:

განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორი ადვოკატისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოება:

4.1 საჩივრის ავტორის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილი დამატებითი მოსაზრებების ტექსტში ადვოკატი ნ. თ.-ს მიმართ გამოყენებულია შემდეგი ფრაზები: ,,...ამასთან სწორედ ბინათმესაკუთრე ბ. გ.-ს, თავისი და არა ამხანაგობის სახელით, მაშინ როდესაც ვითარების საწინააღმდეგოდ, სააპელაციო საჩივარს, ამხანაგობის თავმჯდომარის, შესაბამისად ამხანაგობის სახელით (ადვოკატ - ნ. თ.-ს თანამონაწილე-თანამზრახველობით) შედგენილ საჩივარში გაცხადებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, ლ. რ.-ის კუთვნილ საოფისე ფართიდან - 31 კვ.მ ფართობის თითქოსდა

,,ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე“ ფლობის თაობაზე, ამგვარად ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით, ლ. რ.-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ინდივიდუალური საკუთრების ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა და გამოძალვისათვის, სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - თაღლითობის ყველა ნიშნის დამამძიმებელ გარემოებათა არსებობის პირობებში და ბინათმესაკუთრე ბ. გ.-ს მხრიდან საკითხის ყალბად წარმოჩენის გამო ...“ (გვ. 3); ,,..რაც, ბ. გ.-მ, უპირველესად კი მისმა ადვოკატმა ნ. თ.-მ უნდა იცოდეს; თუმცა ვეჭვობთ, რომ კიდეც კარგად იციან და ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და წინასწარი შეთანხმებით თაღლითობაში მონაწილეობენ“ (გვ. 4); …ი. მ.-ს დეიდის და ერთდროულად ადვოკატ – ნ. თ.-ს მხრიდანაც, საკითხში აშკარა კერძო ინტერესის არსებობის პირობებში, ყოვლად უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ თაღლითობის ყველა ნიშნის არსებობის პირობებში... როდესაც სახეზე აშკარაა, ბინათმესაკუთრე ბ. გ.-ს, ამხანაგობის ასევე წევრის დეიდისა და თანამზრახველ ადვოკატ – ნ. თ.-ს, ამასთან სავარაუდოდ ამხანაგობის სხვა, მათთვის გეზის მიმცემი წევრის – N16 ბინათმესაკუთრე დ. ს.-თან ერთად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებით, კერძო ინტერესების, დაუსაბუთებლად, თაღლითობის ყველა ნიშნის არსებობის პირობებში, სხვისი კერძო საკუთრების ნაწილის დატაცების თაღლითური მცდელობის ნიშნებს... (გვ. 5); მიმდინარე სასამართლო სხდომაზე დავალებული მაქვს პირდაპირ განვაცხადო, რომ ჩვენს კერძო საკუთრების უფლებების ხელყოფის მცდელობას, ყველა კანონიერი საშუალებით წინააღმდეგობა გაეწევა და ამ ქმედებებში თანამონაწილე დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი გარდაუვლად დადგება კიდეც, აღნიშნულზე ამ პირთა ერთი ნაწილის პასუხისმგებლობის საკითხი კიდეც დაყენებული გვაქვს...“ (გვ. 6); ,,...N18 ბინათმესაკუთრე ბ. გ., თავის თანამზრახველ ადვოკატ – ნ. თ.-სთან, N3 ბინათმესაკუთრის – ი. მ.-ს დეიდასთან, კერძო ინტერესის არსებობის პირობებში და შესაბამისად პირადად დაინტერესებულ პირთან ერთად...“ (გვ. 7).

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

2013 წლის 19 თებერვლის აპელანტ ლ. და ა. რ.-ების დამატებითი მოსაზრებები.

4.2 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში შეტანილ 2013 წლის 19 თებერვლის დამატებითი მოსაზრებების განცხადებაზე ხელმოწერა შესრულებულია მ. მ.-ის მიერ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. *2013 წლის 19 თებერვლის* აპელანტ ლ. და ა. რ.-ების დამატებითი მოსაზრებები;
2. *განხილვის კოლეგიის 2014 წლის 25 დეკემბრის განხილვის სხდომის ოქმი.*

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტება და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. მ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები".

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას".

6.2 ადვოკატის მიერ კოლეგიალობის პრინციპის დაცვის ვალდებულება გულისხმობს კოლეგებისადმი ღირსეული დამოკიდებულების არსებობასა და პატივისცემას პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. აღნიშნული ვალდებულება გამომდინარეობს ადვოკატთან საერთო კორპორატიული ინტერესებიდან იზრუნონ ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის მოპოვებისათვის, რაც მოიცავს ადვოკატის ვალდებულებას შეინარჩუნოს და დაიცვას პროფესიული ღირსება, პატივი სცეს თავის საქმიანობას.

6.3 ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატის მისამართით გამოთქმული ისეთი განცხადებები, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პიროვნულ, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, წარმოადგენს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დარღვევას.

6.4 იქიდან გამომდინარე, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხებოდა მეორე ადვოკატის მიერ წერილობითი განცხადებით მისი პიროვნული და საქმიანი რეპუტაციის, პატივისა და ღირსების შელახვას, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ მოცემულ საქმეზე უნდა ემსჯელა ერთის მხრივ, ადვოკატის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ და მეორეს მხრივ, იმის შესახებ, თუ რამდენად ექცეოდა ადვოკატ მ. მ.-ის მიერ ადვოკატ ნ. თ.-ს შესახებ წერილობით ჩამოყალიბებული აზრი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში.

6.5 საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებით უზრუნველყოფილია სიტყვისა და აზრის, ასევე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლება. აღნიშნული უფლებები არა მარტო ადვოკატის, არამედ ყველა ადამიანის ძირითადი უფლებებია, რომელთა განხორციელების გარეშეც ვერ მოხდება პიროვნების თავისუფალი ჩამოყალიბება და განვითარება. უპირველეს ყოვლისა, სწორედ დემოკრატია, როგორც სახელმწიფოს ფორმა, აძლევს ყველა ადამიანს გარანტირებულ შესაძლებლობას - თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

შესაბამისად, სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლებები უკავშირდება კონსტიტუციის პირველი მუხლის მეორე პუნქტს - დემოკრატიის პრინციპს და ამავე დროს კავშირშია ადამიანის ღირსებისა და პატივისცემიდან გამომდინარე კომპონენტებთან.

6.6 სიტყვისა და აზრის თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და მისი თავისუფლად გავრცელების უფლებები, თუმცა კი არის ადამიანის ძირითადი უფლებები, მაგრამ მათი შეზღუდვა დაშვებულია კონკრეტულად გაწერილი საფუძვლებით. სწორედ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტსა და 24-ე მუხლის მე-4 პუნქტშია მოცემული ამ უფლებების შეზღუდვის საფუძვლები. აღნიშნული მუხლების მიხედვით, მოცემული ძირითადი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია სხვათა უფლებების, თავისუფლებებისა და ღირსების დასაცავად.

6.7 ,,გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად: ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის თავისუფლებით . . . ამ უფლების რეალიზაციისას ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

6.8 ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში საქმეზე №076/10 აღნიშნა: ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით, მათ უფლება აქვთ, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და შეხედულებები მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის თაობაზე იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათ პროფესია აკისრებთ.“

6.9 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S. and Z v Zwitzerland (განაცხადი 10414/83) აღნიშნა: ,,პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

6.10 აღნიშნული მსჯელობით ცალსახაა, რომ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება გარანტირებულია როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე შიდა კანონმდებლობით, მაგრამ აზრისა და სიტყვის თავისუფლებამ არ უნდა შელახოს სხვათა უფლებები. არ შეიძლება აზრისა და გამოხატვის თავისუფლების კონტექსტში იქნეს განხილული ადამიანისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი ან/და დანაშაულის ჩადენაში დადანაშაულება, რაც პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ტოლფასია.

6.11 ადვოკატი მ. მ. 2013 წლის 19 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისთვის განკუთვნილ აპელანტ ლ. და ა. რ.-ების დამატებით მოსაზრებებში აღნიშნავს: ,,...ამასთან სწორედ ბინათმესაკუთრე ბ. გ.-ს, თავისი და არა ამხანაგობის სახელით, მაშინ როდესაც ვითარების საწინააღმდეგოდ, სააპელაციო საჩივარს, ამხანაგობის თავმჯდომარის, შესაბამისად ამხანაგობის სახელით (ადვოკატ - ნ. თ.-ს თანამონაწილე-თანამზრახველობით) შედგენილ საჩივარში გაცხადებულ მეორე

საკითხთან დაკავშირებით, ლ. რ.-ის კუთვნილ საოფისე ფართიდან - 31 კვ.მ ფართობის თითქოსდა ,,ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლების გარეშე“ ფლობის თაობაზე, ამგვარად ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით, ლ. რ.-ის სახელზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ინდივიდუალური საკუთრების ნაწილის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისა და გამოძალვისათვის, სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის - თაღლითობის ყველა ნიშნის დამამძიმებელ გარემოებათა არსებობის პირობებში და ბინათმესაკუთრე ბ. გ.-ს მხრიდან საკითხის ყალბად წარმოჩენის გამო ...“ (გვ. 3); ,,..რაც, ბ. გუნიამ, უპირველესად კი მისმა ადვოკატმა ნ. თ.-მ უნდა იცოდეს; თუმცა ვეჭვობთ, რომ კიდეც კარგად იციან და ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და წინასწარი შეთანხმებით თაღლითობაში მონაწილეობენ“ (გვ. 4); …ი. მ.-ს დეიდის და ერთდროულად ადვოკატ – ნ. თ.-ს მხრიდანაც, საკითხში აშკარა კერძო ინტერესის არსებობის პირობებში, ყოვლად უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ თაღლითობის ყველა ნიშნის არსებობის პირობებში... როდესაც სახეზე აშკარაა, ბინათმესაკუთრე ბ. გ.-ს, ამხანაგობის ასევე წევრის დეიდისა და თანამზრახველ ადვოკატ – ნ. თ.-ს, ამასთან სარაუდოდ ამხანაგობის სხვა, მათთვის გეზის მიმცემი წევრის – N16 ბინათმესაკუთრე დ. ს.-თან ერთად, ორგანიზებული ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის გამოყენებით, კერძო ინტერესების, დაუსაბუთებლად, თაღლითობის ყველა ნიშნის არსებობის პირობებში, სხვისი კერძო საკუთრების ნაწილის დატაცების თაღლითური მცდელობის ნიშნებს... (გვ. 5); მიმდინარე სასამართლო სხდომაზე დავალებული მაქვს პირდაპირ განვაცხადო, რომ ჩვენს კერძო საკუთრების უფლებების ხელყოფის მცდელობას, ყველა კანონიერი საშუალებით წინააღმდეგობა გაეწევა და ამ ქმედებებში თანამონაწილე დამნაშავე პირების პასუხისმგებლობის საკითხი გარდაუვლად დადგება კიდეც, აღნიშნულზე ამ პირთა ერთი ნაწილის პასუხისმგებლობის საკითხი კიდეც დაყენებული გვაქვს...“ (გვ. 6); ,,...N18 ბინათმესაკუთრე ბ. გ., თავის თანამზრახველ ადვოკატ – ნ. თ.-თან, N3 ბინათმესაკუთრის – ი. მ.-ს დეიდასთან, კერძო ინტერესის არსებობის პირობებში და შესაბამისად პირადად დაინტერესებულ პირთან ერთად...“ (გვ. 7). ეთიკის კომისიის შეფასებით, ადვოკატ მ. მ.-ის აღნიშნული განცხადებები შეიცავს დანაშაულის ბრალდებას, რაც გათვალისწინებულია სსსკ–ის 19–180–ე მუხლებით.

6.12 განხილვის კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატ მ. მ.-ის განსხვავებულ განმარტებებზე საქმის წარმოების საპროცესო და განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე საქმის წრმოებისას ადვოკატმა მ. მ.-მ განაცხადა, რომ ბმა ,,მ.–X“–ის 10.05.2012 წ. საერთო კრების N10 ოქმის სავარაუდო გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით დაწყებული იყო გამოძიება და განცხადებაში გამოთქმული მოსაზრებები მხოლოდ გარკვეული ვარაუდის კონსტატაციას წარმოადგენდა. გარდა ამისა ის მოქმედებდა კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობიდან გამომდინარე და გამოთქვა თავისი კლიენტის ვარაუდი. განხილვის ეტაპზე ადვოკატმა განმარტა, რომ ხელის მოწერის მომენტისათვის ის განცხადების შინაარსს გაცნობილი არ იყო, რაც წარმოადგენდა მის შეცდომას. განხილვის

კოლეგია განმარტავს, რომ გამოძიების დაწყების ფაქტი ადვოკატს არ აძლევდა იმის საფუძველს, რომ მიეთითებინა დასრულებულ დანაშაულზე და ადვოკატი ნ. თ. მოეხსენიებინა თაღლითობის თანამონაწილედ. ამასთან, განცხადებაზე ხელის მოწერა მისი შინაარსის გაუცნობლად არ ათავისუფლებს ადვოკატს პასუხისმგებლობისგან მასში გამოთქმულ მოსაზრებებზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ,,ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით.“ საქართველოს შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე–საბურთალოს სამმართველოს მე–2 განყოფილების 2012 წლის 04 ოქტომბრის მიმართვის წერილით დგინდება, რომ ბმა ,,მ.–X“–ის 10.05.2012 წ. საერთო კრების N10 ოქმის სავარაუდო გაყალბების ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება სსსკ–ის 362–ე მუხლის პირველი ნაწილით. შესაბამისად, რადგან ჯერჯერობით სახეზე არაა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, ადვოკატი ნ. თ. ითვლება უდანაშაულოდ და ადვოკატ მ. მ.-ის მიერ მისი თაღლითობის თანამონაწილედ მოხსენიება შეიძლება ჩაითვალოს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად.

6.13 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ადგენს ადვოკატის დაცვის გარანტიებს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე გაკეთებულ განცხადებებზე, კერძოდ: ,,ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე.“ აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლში არ არის გათვალისწინებული ადვოკატის ამ იმუნიტეტის შეზღუდვის შემთხვევა, თუმცა, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლი ექვემდებარება ამავე კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ შეზღუდვას, რადგან ეს მუხლი განსაზღვრავს ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების დაცვის აუცილებლობას და ადგენს, რომ ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

6.14 ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა წარმოადგენს პიროვნული და პროფესიული პატივისა და ღირსების შელახვას. შესაბამისად ადვოკატ მ. მ.-ის მიერ დამატებითი მოსაზრებების ტექსტში ადვოკატი ნ. თ. მოხსენიებულია ისეთ კონტექსტში, რომელიც ლახავს ადვოკატის როგორც პირად, ასევე საქმიან რეპუტაციას, პატივსა და ღირსებას, აქედან გამომდინარე სახეზეა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა.

6.15 კოლეგებისამდი გამოხატული თავაზიანობა და პატივისცემა არის ცივილიზებული იურიდიული პროფესიის ნიშანი, რაც ხელს უწყობს მართლმსაჯულების განხორციელებას, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობას, საზოგადოებაში მაღალი ნდობის მოპოვებას და სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით; 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის, ასევე მე–10 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. მ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად ზემოქმედების ღონისძიების სახით განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნებათ მხოლოდ მხარეებს.
4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში (ქ. თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ. №32).

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/